ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №125612

ნომერი: AR133737

თარიღი : 28.03.2012

გაცემის თარიღი : 18.04.2012

გაცნობის თარიღი : 19.04.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გორგასლის ქუჩა 10-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა აბესაძე პ/ნ 01005009347
- თბილისი გ.ცაბაძის ქ. კორ. 4 ბ. 22

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 2012 წლის 28 მარტის #AR133737 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის მიერ 2010 წლის 05 მაისის #01/860 ბრძანებით შეთანხმებულ კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტში ცვლილების შეტანასა და გამორჩენილი ავტოფარეხების გეგმის დამატებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და

დაადგინა, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი ავტოფარეხების გეგმა და სამსახურის 2009 წლის 18 თებერვლის #01/126 ბრძანებით შეთანხმებულ ძირითად არქიტექტურულ პროექტში არსებული ავტოფარეხის გეგმები განსხვავდება ერთმანეთისგან, კერძოდ; ფიქსირდება ფართობში მცირედი განსხვავება –480.40 კვ.მ.–ის ნაცვლად არის 480,53კვ.მ., დამატებულია კედლები და შეცვლილია კიბე, რაც "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად საჭიროებს კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხემბასა და ახალ მშენებლობის ნებართვას.

ამასთან, თუ თქვენს მიერ უკვე ნაწარმოებია სამშენებლო სამუშაოები პროექტის დარღვევით ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 63-ე მუხლის თანახმად მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტის და დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითრის წარმოდგენის შემდეგ.

კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შესათანხმებლად თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (www.tas.ge) ავტორიზაციის შემდეგ ელექტრონული განაცხადებების მშენებლობის ნებართვის ველში უნდა აირჩიოთ საცხოვრებლი ობიექტები, შემდგომ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, შეავსოთ სარეკონსტრუქციო შენობის პარამეტრების განმსაზღვრელი გრაფები და აირჩიოთ ქმედებების ჩამონათვალში პროექტის კორექტირება, რის შემდგომაც განგესაზღვრებათ წარმოსადგენი დოკუმენტაციის სია. დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემდეგ სამსახური იმსჯელებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, რის შესახებაც გეცნობებათ ელექტრონული ფორმით.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge